# სოფლის ასოციაციების როლის გაძლიერება დემოკრატიულ პროცესებში (STAGE)

პროექტის მიზანია განავითაროს სოფლის ასოციაციების შესაძლებლობები ორგანიზაციული მართვის, თანამშრომელთა პროფესიული უნარ-ჩვევების გაუმჯობესების, მთავარ დაინტერესებულ მხარეთა შორის ცნობიერების ამაღლებისა და პოტენციურ პარტნიორებთან მჭიდრო კავშირების დამყარების გზით. პარტნიორებში მოიაზრება ეროვნულ დონეზე მომუშავე ასოციაციები, კერძო სექტორი და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტები, რომელთაც შესწევთ ძალა ცენტრალური ხელისუფლების დონეზე წარმოადგინონ ადგილობრივი თემისათვის მნიშვნელოვანი საკითხები.

ოცდაათთვიანი პროექტი, რომელსაც ავსტრიის განვითარების თანამშრომლობა და თანამშრომლობა აღმოსავლეთ ევროპასთან(ADC) (დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ვებ გვერდებს: www.mfa.at/adc, www.ada.gv.at) აფინანსებს, ქეა ავსტრიისა და ქეა საერთაშორისო კავკასიაში-ს მიერ ხორციელდება პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, რომელთაც საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საერთაშორისო ორგანიზაცია კივიტას გეორგიკა წარმოადგენენ.

2006 წლის ნოემბრიდან, პროექტის განხორციელება საქართველოს ორი რეგიონის რვა რაიონში დაიწყო: ბორჯომი, ახალციხე, ასპინძა და ადიგენი სამცხე-ჯავახეთის რეგიონში და გარდაბანი, მარნეული, თეთრიწყარო და წალკა ქვემო-ქართლში. პროექტი მიზნად ისახავს შემდეგი შედეგების მიღწევას:

• თექვსმეტი სამიზნე სოფლის ასოციაციის შესაძლებლობის გაზრდა ასოციაციის თანამშრომელთა პროფესიული უნარ-ჩვევების ამაღლებისა და მართვის (წევრთა-ურთიერთობა) სტრუქტურის გაუმჯობესების გზით;

• რვა რაიონული თვითმმართველობისა და შესაბამისად ცენტრალური სახელისუფლო ორგანოების ცნობიერების ამაღლება სოფლის მოსახლეობის უფლებებისა და საჭიროებების შესახებ და იმ სარგებელზე, რასაც მოიტანს სოფლის მოსახლეობის ჩართვა კანონმდებლობის ირგვლივ დიალოგის პროცესში;

• საინფორმაციო უზრუნველყოფის ხელშეწყობა, რაც დააკავშირებს სოფლის ასოციაციებს ეროვნულ ასოციაციებთან, კერძო სექტორთან და სამოქალაქო საზოგადოების ინტიტუტებთან, რომლებიც ასოციაციებს ადვოკატირებას გაუწევენ ცენტრალურ ხელისფულებაში;

• სამიზნე რაიონებში მცხოვრები სოფლის მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება, თუ რამდენად სარგებლიანია სოფლის ასოციაციებში გაწევრიანება. პროექტი აგრეთვე იმუშვებს გაწევრიანებისთვის ხელოვნური წინაღობების შემცირებაზე.

თითოეულ რეგიონში პროექტს ჰყავს ორგანიზაციული განვითარების ორ-ორი ოფიცერი, რომლებიც ბაზირებულნი არიან ქეა-ს ახალციხისა და მარნეულის რეგიონალურ ოფისებში და პასუხისმგებელნი არიან ყოველდღიურად ითანამშრომლონ და კავშირი იქონიონ როგორც სამიზნე ასოციაციებთან, ასევე ადგილობრივი/რეგიონალური ხელისუფლების წარმომადგენლებთან, ხოლო პროექტის ძირითადი მართვა, კოორდინაცია, დაგეგვმა და მონიტორინგი ხორციელდება პროექტის მმართველი გუნდის მიერ თბილისის ოფისიდან.

პროექტის ბენეფიციარები არიან:

• თექვსმეტი სოფლის ასოციაცია (სულ მცირე 800 წევრი)

• რვა რაიონული/ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი

• სამიზნე რაიონების მოსახლეობა: 450 000 ადამიანი

პროექტი ხორციელდება ორ ადგილობრივ ორგანიზაციასთან ერთად: საერთაშორისო ასოციაცია კივიტას გეორგიკა და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან ერთად.